საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: შპს „ს.“

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ა. ჩ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.05.2023

საჩივრის რეგისტრაციის 047/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ თ. ტ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ თ. ტ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2023 წლის 22 მაისს საჩივრით მომართა შპს „ს“-მა და მოითხოვა ადვოკატ თ. ტ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. დისციპლინურ წარმოებაში საჩივრის ავტორის ინტერესებს წარმოადგენდა ა. ჩ..

1.2 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ში მიმდინარეობდა სააღსრულებო საქმე N--- (ს/ფ N---), სადაც მხარეებს წარმოადგენდნენ შპს „ს“ (კრედიტორი) და თ. ტ.-ის კლიენტები (მოვალეები). შესაბამისად, ადვოკატი თ. ტ. იყო შპს „ს“-ის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი. ამჟამად, აღნიშნული საქმის წარმოება სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ში დასრულებულია. აღნიშნული საქმიდან გამომდინარე შპს

„ს“-მა ხელახლა მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს (საქმე N---). საქმის სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, მოსამართლემ სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-დან გამოითხოვა სააღსრულებო საქმის N--- მასალები. საქმის მასალების შესწავლისას დადგინდა, რომ ადვოკატმა თ. ტ.-მა სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ში 2021 წლის 11 ნოემბერს წარადგინა განცხადება, სადაც მიუთითა, რომ ის წარმოადგენდა შპს „ს“-ის წარმომადგენელს, რაც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და კომპანიის სახელით წარადგინა საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტები. საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატ თ. ტ.-ის მიერ დარღვეულია პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი სტანდარტები.

2. ადვოკატის პოზიცია

2.1 ადვოკატმა თ. ტ.-მა ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2023 წლის 31 მაისს, სადაც განმარტა, რომ საჩივარში მითითებული გარემოებები არ შეესაბამება სინამდვილეს და საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 ადვოკატმა დაადასტურა, რომ ის ნამდვილად წარმოადგენდა შპს „ს“-ის პროცესუალური მოწინაარმდეგეების ადვოკატს და როგორც მათი ინტერესების დამცველი, ჩართული იყო სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ში საქმისწარმოებაში. ადვოკატმა დაადასტურა, რომ მან 2021 წლის 11 ნოემბერს ნამდვილად წარადგინა განცხადება სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ში, თუმცა განცხადება წარადგინა არა შპს „ს“-ის, არამედ კომპანიის მოწინააღმდეგე მხარის - მისი კლიენტების სახელით. ადვოკატმა განმარტა, რომ განცხადების შაბლონი შეადგინა სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს თანამშრომელმა, რომელმაც განცხადების შედგენისას დაუშვა ტექნიკური შეცდომა და ნაცვლად მოვალის მონაცემებისა, მიუთითა კრედიტორის მონაცემები. ადვოკატმა თ. ტ.-მა საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად წარმოადგინა სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს მიერ 2023 წლის 15 მარტს გაცემული ცნობა N---, სადაც განმარტებულია, რომ სააღსრულებო საქმეზე N--- (ს/ფ N---, კრედიტორი - შპს „ს“; მოვალე - ე. შ.) „...2021 წლის 11 ნოემბერს თბილისის ბიუროში წარმოდგენილი იქნა მოვალის წარმომადგენლის თ. ტ.-ის განცხადება, სადაც აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განცხადების რეგისტრაციისას დაშვებულ იქნა ტექნიკური უზუსტობა და ნაცვლად მოვალის დასახელებისა, მიეთითა კრედიტორის მონაცემები. აქვე გაცნობებთ, რომ ზ/აღნიშნული ტექნიკური უზუსტობიდან გამომდინარე, საქმის მიმდინარეობისას არ გამოკვეთილა რაიმე სახის დარღვევა.“ ადვოკატის განცხადებით, ის არასდროს ყოფილა საჩივრის ავტორის ავტორი და შესაბამისად, მას არასდროს უმოქმედია როგორც შპს „ს“-ის წარმომადგენელს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი თ. ტ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი, /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.

3.2 შპს „ს“-მა ადვოკატთა ეთიკის კომისიას მომართა 2023 წლის 22 მაისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2021 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ თ. ტ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 ეთიკის კომისიამ განიხილა საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომლის მიხედვითაც ადვოკატმა თ. ტ.-მა, რომელიც სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ში წარმოადგენდა მოვალის ინტერესებს, განცხადება და საქმეზე დოკუმენტები წარადგინა კრედიტორის სახელით.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ თ. ტ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის ფაქტზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილი: „ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი: „ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა.....“

5.3 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე №092/10 მიუთითა: „ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა, თუ ადვოკატის მიერ განხორციელებულ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ“ .

5.4 ეთიკის კომისიამ დისციპლინურ საქმეზე 092/10, 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით დაადგინა: ,,ადვოკატმა, რომელიც ახორციელებდა კლიენტის წარმომადგენლობას, არ უნდა წარმოადგინოს სხვა პირი იმავე ან არსებითად დაკავშირებულ საქმეში, სადაც ამ უკანასკნელის ინტერესები არსებითად საწინააღმდეგოა ყოფილი კლიენტის ინტერესებისა, გარდა შემთხვევისა, როდესაც კონსულტაციის შედეგად ყოფილი კლიენტი განაცხადებს თანხმობას...“.

5.5 დისციპლინური საქმის მასალების გამოკვლევისას დადგინდა, რომ სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ში მიმდინარე სააღსრულებო საქმეში N---, შპს „ს“ წარმოადგენდა ადვოკატ თ. ტ.-ის კლიენტების კრედიტორს. შესაბამსად, ადვოკატი თ. ტ. იცავდა შპს „ს“-ის მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს. ადვოკატ თ. ტ.-ის მიერ პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ნორმების დარღვევაზე მხარეებმა

განსხვავებული პოზიციები წარმოადგინეს. საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატი სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს მიმართავდა როგორც ორივე მხარის წარმომადგენელი, რაც დასტურდება სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ში 2021 წლის 11 ნოემბერს კრედიტორის - შპს „ს“-ის სახელით წარდგენილი განცხადებით, თუმცა ადვოკატს არ გააჩნდა კომპანიის ინტერესების წარმოდგენის უფლებამოსილება და ადვოკატი კომპანიის მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი იყო. აღნიშნულ ფაქტზე ადვოკატმა განმარტა, რომ ის სადავო სააღსრულებო წარმოებაში, მხოლოდ შპს „ს“-ის მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატს წარმოადგენდა და სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ში მის მიერ 2021 წლის 11 ნოემბერს წარდგენილ განცხადებაში, რომლის შაბლონიც შედგენილი იყო სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს რეგისტრატორის მიერ, რეგისტრატორმა დაუშვა ტექნიკური ხარვეზი - მოვალის მონაცემების ნაცვლად, განცხადებაში მიუთითა კრედიტორის მონაცემები. ადვოკატის განცხადებით, მას არ უმოქმედია კრედიტორის ინტერესების სასარგებლოდ და საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული დოკუმენტი, თანდართულ მასალასთან ერთად წარდგენილი იყო მისი კლიენტების - მოვალეების ინტერესების დასაცავად.

5.6 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საპროცესო ეტაპზე დისციპლინური დევნის აღძვრის ან აღძვრაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კოლეგია ხელმძღვანელობს მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებათა შესწავლის საფუძველზე და სადავო ფაქტებს განიხილავს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. მაშინ როდესაც, მხარეთა ახსნა-განმარტებები ურთიერთგამომრიცხავია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადავო ფაქტთან შემხებლობის მქონე სხვა მტკიცებულებებს. „დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების მასალების მიხედვით დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ მეთვალყურეს, რათა დაესკვნა დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენა“ (სუსგ დს/შ10-13, 16.10.2013).

5.7 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ფაქტობრივ გარემოებათა მტკიცების ვალდებულება აკისრიათ მხარეებს, რომლებიც თავის სამართლებრივ მოთხოვნას აფუძნებენ აღნიშნულ გარემოებებს და შესაბამისად, ისინი მიეთითება მათ მიერ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტს, რომელიც ყველა შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა განაწილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლო 11.04.2013 წლის გადაწყვეტილებაში (საქმე №2ბ/102-13) განმარტავს, რომ სამოქალაქო სამართალში მოქმედებს პრინციპი „affirmanti, non negati, incumbit probatio“ – „მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“. შესაბამისად, ვინაიდან შპს „ს“-ს გააჩნია პრეტენზია, რომ ადვოკატმა თ. ტ.-მა მის მიმართ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ადვოკატთა ქცევის პრინციპები, ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი სწორედ საჩივრის ავტორს ეკისრება. მან უნდა შეუქმნას კომისიას დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატმა დაარღვია ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ქცევის სტანდარტები.

5.8 საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე: საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ადვოკატ თ. ტ.-ის მიერ სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ში 2021 წლის 11 ნოემბერს წარდგენილი განცხადება. განცხადების შაბლონი

შედგენილია ნაბეჭდი სახით, ხოლო განცხადების შინაარსობრივი ნაწილი და ხელმოწერა უშუალოდ ადვოკატის მიერაა კალმით შესრულებული. ნაბეჭდ შაბლონში მითითებულია, რომ სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს მიმართავს კრედიტორის - შპს „ს“-ის წარმომადგენელი თ. ტ.. საჩივრის ავტორის პრეტენზიის საწინააღმდეგოდ, ადვოკატმა თ. ტ.-მა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს მიერ 2023 წლის 15 მარტს გაცემული ცნობა N---, სადაც განმარტებულია, რომ სააღსრულებო საქმეზე N--- (ს/ფ N---, კრედიტორი - შპს „ს“; მოვალე - ე. შ.) „...2021 წლის 11 ნოემბერს თბილისის ბიუროში წარმოდგენილი იქნა მოვალის წარმომადგენლის თ. ტ.-ის განცხადება, სადაც აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განცხადების რეგისტრაციისას დაშვებულ იქნა ტექნიკური უზუსტობა და ნაცვლად მოვალის დასახელებისა, მიეთითა კრედიტორის მონაცემები. აქვე გაცნობებთ, რომ ზ/აღნიშნული ტექნიკური უზუსტობიდან გამომდინარე, საქმის მიმდინარეობისას არ გამოკვეთილა რაიმე სახის დარღვევა.“ ცნობაში მითითებულია, რომ ზემოთ აღნიშნულ სააღსრულებო წარმოებაში თ. ტ., როგორც მოვალის წარმომადგენელი, ჩაერთო 2021 წლის 9 ნოემბერს და წარადგინა სანოტარო წესით გაფორმებული მინდობილობა N---.

5.9 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ თ. ტ.-ის მიერ ეთიკის კომისიაში 2023 წლის 31 მაისს წარმოდგენილი სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს მიერ 2023 წლის 15 მარტს გაცემული ცნობით N---, დასტურდება, რომ ადვოკატი მოქმედებდა მხოლოდ თავისი კლიენტის - მოვალის ინტერესების გათვალისწინებით და მას სამართლებრივი მოქმედებები არ განუხორციელებია შპს „ს“-ის სახელით. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ცნობით დგინდება, რომ სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიურო“-ს მიერ ადვოკატ თ. ტ.-ის განცხადების რეგისტრაციისას დაშვებული იყო ტექნიკური უზუსტობა, რაც გამორიცხავს ადვოკატის განზრახ ქმედებას და შპს „ს“-ის სახელით მოქმედებას. თავის მხრივ, საჩივრის ავტორს, გარდა ადვოკატ თ. ტ.-ის 2021 წლის 11 ნოემბრის განცხადებისა, არ წარმოუდგენია სხვა ისეთი მტკიცებულება, რაც ეთიკის კომისიას შეუქმნიდა დასაბუთებულ ვარაუდს ადვოკატ თ. ტ.-ის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ნორმების შესაძლო დარღვევაზე. შესაბამისად, ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე არ დადგინდა ადვოკატ თ. ტ.-ის მიერ პროფესიული ეთიკის სტანდარტების შესაძლო დარღვევა.

5.10 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ 30-ე მუხლის პირველი ნაწილით, 40-ე მუხლის პირველი ნაწილით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №047/23 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ თ. ტ.-ის /სიითი №/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/